ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №403/05

გაზეთის „ახალი განათლება" ხელმოწერის შესახებ

თბილისი 04.01.2013წ

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

შ.პ.ს „ახალი განათლება"(შემგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის მარიკა ჩიქოვანის სახით, ერთი მხრივ და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯავახოს საჯარო სკოლა (შემდგომში – „შემსყიდველი") მისი დირექტორის [illegible] სახით, მეორე მხრივ, ეხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თანახმად საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 პერიოდული გამოცემის გაზეთის (cpv 22200000) „ახალი განათლება" 2013 წლის ხელმოწერის შესყიდვა (შემდგომში – „შესყიდვის ობიექტი").

3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 52(ორმოცდათორმეტი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 „მიმწოდებელი" ვალდებულია, დროულად გამოსცეს გაზეთი „ახალი განათლება" და ეტაპობრივად (ყოველკვირეულად) მიაწოდოს „შემსყიდველს" სააგენტოს საშუალებით, იმ პერიოდში, როდესაც მუშაობს საგანმანათლებლო დაწესებულებები. 2013 წლის 4 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე სულ, წლის განმავლობაში – 40 ნომერი.

4.2 „მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში. გაზეთის ყველა ნომერი მიეწოდება ელექტრონული ზედნადების თანხლებით.

4.3 „შემსყიდველი" ვალდებულია, ხელშეკრულების დადებიდან ორი კვირის ვადაში, ჩარიცხოს საბანკო ანგარიშზე გაზეთის ხელმოწერის ღირებულება.

4.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

6. სადავო საკითხთა გადაჭრის პირობები

6.1. ნებისმიერი სახის დავის მოგვარება ხორციელდება: მოლაპარაკების გზით, ან სასამართლოში, ან კერძო არბიტრაჟის მეშვეობით;

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8. ფორს-მაჟორი

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდეგრობასთან, და რომლებსაც წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი აქვთ.

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს „ახალი განათლება"
ქ. თბილისი, ტ.ტელეშვილის ქ. №3
axaliganatleba@gmail.com
ს/ს „საქართველოს ბანკი"
ს/ა GE 86 BG 0000000 123631000
ს/კ 202058735, ბ/კ BAGAGE22

დირექტორი მ.ჩიქოვანი

„შემსყიდველი"

სოფ. სალაყაოს მუნიციპალიტეტის სოფლის საკრებულო
საკრებულოს საგადასახადო კოდი: ს/კ 238762763
ს/ს „ალტერნატივა ბანკი" საქართველოს ეროვნული ბანკი
ბიკი LBRTGE22
ანგ. № GE64LB0121117205566000

დირექტორი

სოფ. სალაყაოს მუნიციპალიტეტის სოფლის საკრებულო
Village Salaqaoebi Municipality Public Service Hall
238762763